სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/65

ქ. თბილისი 24 დეკემბერი 2024

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 23 დეკემბერს №0001645338 წერილით სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა (ვიცე-კანცლერი) სენატს დასამტკიცებლად წარმოუდგინა 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი, სტუ-ის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. უნივერსიტეტის 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც აერთიანებს შემოსავლების კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებით ოპერაციების კლასიფიკაციას, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას.

უნივერსიტეტის 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტის საპროგნოზო შემოსულობები დღეის მდგომარეობით შეადგენს 73 372 520 ლარს, ანუ წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 5 053 845 ლარით მეტს. უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წლის ბიუჯეტში მოსალოდნელი ნაშთი 2025 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 10 000 000 ლარს, რაც გათვალისწინებულია ჰიდროტექნიკისა და ჰიდრავლიკის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მშენებლობისთვის.

2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები შესაბამისად განისაზღვრა 64 372 520 ლარით. უნივერსიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებია უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ასევე კანონით, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული, ან/და ნებადართული სტრუქტურული

ერთეულების მიერ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები, რომელიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის ღონისძიებების მიხედვით და გაწერილია პროგრამების სახით, რომელიც საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც ფინანსების ეფექტიანად გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ასევე, პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა მთელი ბიუჯეტი დავინახოთ ძირითადი პროგრამების და მათი შედეგების თვალსაზრისით და არა მხოლოდ ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის (ვიცე-კანცლერი) თეიმურაზ ბულიას 2024 წლის 23 დეკემბრის №0001645338 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 24 დეკემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტი, წლის დასაწყისში არსებული ნაშთის (10 000 000 ლარი) გათვალისწინებით:

I. **საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 73 372 520 ლარით,** მათ შორის:

1) **შემოსავალი სწავლებიდან** (სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების, პროფესიული სწავლების, სტუდენტთა რაოდენობისა და 2025-2026 სასწავლო წლისათვის სავარაუდოდ მისაღები და მობილობით გადმოსასვლელი კონტინგენტის გათვალისწინებით) განისაზღვროს 51 953 150 ლარით, რაც შეადგენს 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო შემოსავლების 70.8%-ს;
2) **სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება** განისაზღვროს 4 347 585 ლარს, რაც ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო შემოსავლის 5,9%-ია;
3) **სამეცნიერო-კვლევითი გრანტები განისაზღვროს** 1 594 455 ლარით, საიდანაც სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები 1 436 930 ლარია, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი-საქართველო I2Q (IBRD)"- 157 525 ლარი. სამეცნიერო - კვლევითი გრანტებიდან მისაღები თანხების წილი ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო შემოსავლის მიმართ 2,17 %-ს შეადგენს;
4) კანონმდებლობით ნებადართული სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მოსალოდნელი შემოსავალი 2025 წლისთვის განისაზღვროს 5 477 330 ლარით, საიდანაც „შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან“ შეადგენს 983 000 ლარს; „შემოსავალი დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან“

შეადგენს 958 330 ლარს; ხელშეკრულებების საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოსა და გასაწევი მომსახურების საფუძველზე მისაღები შემოსავალი შეადგენს 3 000 000 ლარს; „მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა“, შეადგენს 536 000 ლარს. კანონმდებლობით ნებადართული სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები მოსალოდნელი შემოსავლის წილი ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო შემოსავლის მიმართ შეადგენ 7.47%-ს.

წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) უნივერსიტეტის რექტორატის და ადმინისტრაციის ყურადღებას კვლავ ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ძირითადად განსაზღვრულია სტუდენტთა სწავლის საფასურის ბაზაზე და აღნიშნავს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა კანონით მინიჭებული ეკონომიკური საქმიანობის გეგმაზომიერად წარმართვაზე, აგრეთვე უცხოელი სტუდენტების მაქსიმალურად მოზიდვაზე და ამ გზით შემოსავლების ზრდაზე.

II. გადასახდელები განისაზღვროს შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად 64 372 520 ლარით, რომელიც პროგრამების მიხედვით შეადგენს:

უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 01 01) - 17 028 000 ლარი რაც ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების 26.46%-ია.

1) უმაღლესი განათლება (ფაკულტეტები) (პროგრამული კოდი 01 02) – 31 765 605 ლარი, რაც ნაერთი ბიუჯეტის 49.3%-ია;
2) „სტუდენტთა ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 03) - 213 430 ლარი, რომელიც ნაერთი ბიუჯეტის 0.33%-ია;
3) „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 04) – 4 863 290 ლარი და ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების 7.56%-ია;
4) „პროფესიული განათლების განვითარება“ (პროგრამული კოდი 01 05) - 2 321 250 ლარი, რაც ნაერთი ბიუჯეტის 3.61%-ია;
5) კულტურისა დ სპორტის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 06) – 643 710 ლარი, რომელიც ნაერთი ბიუჯეტის 1%-ია;
6) ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 01 07) – 7 537 235 ლარი და შეადგენს ნაერთი ბიუჯეტის 11.7%-ს.

გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განისაზღვროს:

1) „შრომის ანაზღაურება“ — 30 381 430 ლარით;
2) „საქონელი და მომსახურება“ — 22 894 190 ლარით;
3) „გრანტები“ — 35 000 ლარით;
4) „სოციალური უზრუნველყოფა“ — 50 000 ლარით;
5) „სხვა ხარჯები“ — 4 270 750 ლარით;
6) „არაფინანსური აქტივების ზრდა“ — 6 741 150 ლარით.

2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის ასიგნებების მიმართ „შრომის ანაზღაურების“ წილი შეადგენს 47.2%-ს; „საქონელი და მომსახურება“ – 35.6%-ს, „გრანტები“ – 0,05%-ს;

„სოციალური უზრუნველყოფა“ – 0.08%-ს; „სხვა ხარჯები“ – 6.63%-ს, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდა“ – 10.5%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წელს გაგრძელდება უნივერსიტეტის მე-6 სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის „სასურსათო პროდუქტების გადამუშავების“ და „მეღვინეობის“ სასწავლო-საწარმოო ლაბორატორიის მშენებლობა, დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები და უნივერსიტეტის ქსელური ინფრასტრუქტურის გაფართოება და სხვადასხვა ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა. აგრეთვე 2025 წელს დაიწყება ჰიდროტექნიკისა და ჰიდრავლიკის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მშენებლობა.

III. დამტკიცდეს 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები 73 372 520 ლარით, კერძოდ:

1) **სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული, მიზნობრივი და ვაუჩერული** დაფინანსების გათვალისწინებით 52 953 150 ლარით;
2) **სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება** (მ.შ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა (VI კორპუსი; ღვინის ლაბორატორია; „სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისების პროგრამის „ცოდნის კარის“ ქვეპროგრამა) - 4 347 585 ლარით;
3) **სამეცნიერო - კვლევითი გრანტები** (მ.შ. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები; სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები (მ.შ. CIF); საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტები 1 594 455 ლარით;
4) **კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები** (მ.შ. შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან; შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და თვითდაფინანსების ცენტრებიდან; მეიჯარეების კომუნალური გადასახადი; ს.ს. საქართველოს ბანკი; შემოსავალი დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან (ბანკის %) 5 477 330 ლარით.

IV. დამტკიცდეს სტუ-ის 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები (დანართი №1):

1) „უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება“ (პროგრამული კოდი 01 01) – 17 028 000 ლარი;
2) „უმაღლესი განათლება“ (ფაკულტეტები-პროგრამული კოდი 01 02) – 31 765 605 ლარი;
3) „სტუდენტთა ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 03) -213 430 ლარი;
4) „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“(პროგრამული კოდი 01 04)- 4 863 290 ლარი;
5) „პროფესიული განათლების განვითარება“ (პროგრამული კოდი 01 05) - 2 321 250 ლარი;
6) „კულტურისა დ სპორტის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 06) – 643 710ლარი;
7) „ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამული კოდი 01 07) – 7 537 235 ლარი.

3. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად,

შემუშავებული მიზნობრივი პროგრამებით დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს 2025 წლის მარტში;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**